შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (9.624)

29 მარტი-5 აპრილი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

აღვადგინოთ ჰარმონია ადამიანსა და ბუნებას შორის

თანამედროვე მსოფლიოში, რომელსაც სხვაგვარად ტექნიკურ საუკუნესაც უწოდებენ, ადამიანის ბუნებისადმი ობივატელური მიდგომა მკვეთრად გაიზარდა. ბუნებაზე ადამიანის მომხმარებლური დამოკიდებულება უარყოფითად მოქმედებს. არადა, ბუნება - ეს დედამიწის პიროვნებაა, მისი ნიაღის, სიცოცხლისა და კლიმატის ჰარმონიაა. ბუნების დაცვა კი ნიშნავს ჰარმონიას ადამიანსა და მიწას შორის. თითქმის ასწლიანი პროპაგანდის მიუხედავად, ამ დაცვის განვითარება კუს ნაბიჯით მიდის და ძირითადად ქაღალდზე ღვთისმოსავური ოხვრით ან ყრილობებსა და კონფერენციებზე მჭევრმეტყველებით იფარგლება.

ვინმე თუ ყოფილხართ მდინარის პირას და მისი სიმღერა მოგისმენიათ? ალბათ კი... მაშინ აუცილებლად გაიგონებდით მელოდიას, რომელსაც ქვებზე, ფესვებზე და ჩქერებზე უკრავს წყალი. ყოველი მდინარე თავისი სიცოცხლის სიმღერას მღერის, ხშირად ეს სიმღერა უკვე დამახინჯებულია უაზრო დისონანსებით, რომელიც უამრავი ადამიანის ვიზიტს შეუტანია მის პარტიტურაში... საძოვრების დაუზოგავად გამოფიტვა თავდაპირველად მცენარეებს, შემდეგ კი ნიადაგს ღუპავს, მერე თოფები, ხაფანგები და შხამები სპობენ მსხვილ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებს...

დღეს ბევრი ეროვნული პარკია შექმნილი ველური ბუნების დაცვის მიზნით, თუმცა მისი დამფასებელთა რიცხვი მაინც მცირდება, მხოლოდ ე.წ. ცნობიერების ამაღლების პროექტები საჭირო შედეგს ვერ აღწევს. ბუნება რომ შეიყვარო, იქ რამდენიმე დღე მაინც უნდა გაატარო, უნდა შეიგრძნო პირველქმნილი ბუნების სილამაზე. ეროვნული პარკებიც გზებითა და ტურისტებით ხომ იმისთვის იქმნება, რომ ბევრმა შეძლოს ამ მუსიკის გაგონება, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც ეს ბევრი მოსმენას ისწავლის, არ დარჩება თითქმის არაფერი, არეული ხმაურის გარდა.

ამ არეული ხმაურის ასაცილებლად საჭიროა ბუნების მოფრთხილება და იმ გარემოს სისუფთავის დაცვა მაინც, სადაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება. ამისთვის უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია იქმნება და ცდილობს, საზოგადოებას ბუნების დაცვისკენ მოუწოდოს და ქმედითი ღონისძიებებიც განახორციელოს, მაგალითად, დასუფთავების აქციების ორგანიზება ითავოს.

22 მარტს, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები -საქართველოს“ ორგანიზებით ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის 10 სოფელში დასუფთავების აქცია „ლურჯი ნაკადული“ მოეწყო. აქციის მიზანი ეკო სისტემების გადარჩენა იყო.

(გაგრძელება გვ.5)

გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა (?!)

დედოფლისწყაროში ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი შემცირდა

24 მარტს ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე აღინიშნა. აქამდე მოსახლეობას ეგონა, რომ ეს დაავადება განკურნებადი იყო და და მსოფლიო სამედიცინო საზოგადოება შიდსის დამარცხების გზებს განიხილავდა. ამ დღეებში სოციალურ ქსელში გავრცელდა შოთა ლიპარტელიანის ჩანაწერები, რომელიც თვითონ ტუბერკულოზითაა დაავადებული. ამჟამად ის პარიზში იმყოფება და, როგორც თავად ამბობს, წარმატებული მკურნალობის შედეგად თითქმის სრულიად გამოჯანმრთელდა. ის იმ ამბებს გვიყვება, რომელიც საკუთარ თავზე გადაიტანა საქართველოში რამდენიმეწლიანი უშედეგო მკურნალობის შედეგად.

„ნამდვილად არ გამოვირჩევი ბოროტი მეხსიერებით და მუდმივად ვცდილობ ყოველივე ცუდის დავიწყებას,რაც კი ოდესმე ვინმეს ჩემთვის გაუკეთებია,მაგრამ არ შეიძლია არ გავიხსენო ერთი კონკრეტული შემთხვევა:

2010 წლის გაზაფხული იყო,უკვე ერთ წელზე მეტი იყო გასული,რაც ახალი DOTS PLUS-ის პროგრამით გავდიოდი მკურნალობის კურსს. ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს,რომ თითქმის არანაირი შედეგი არ მქონდა და ისევ ბაცილა-გამომყოფი ვიყავი. იმ მომენტისთვის მკურნალობის კურსს ვიტარებდი ამბოლატორიულად და ზედამხედველობას მიწევდა ხუდადოვის ცენტრის ექიმი-ფტიზიატრი ქ-ნი ლია ღამბაშიძე. შევდივარ ექიმის კაბინეტში და ჩვენს შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

- გამარჯობა ქალბატონო ლია, როგორ ბრძანდებით?

- აააალიპარტელიანი?... გამარჯობა, არ გეკითხები როგორ ხარ, დაბრძანდი--და ექიმის მაგიდიდან ორი მეტრით მოშორებულ სკამზე მიმითითა. მიუხედავად იმისა, რომ დამცავი ნიღაბი მეკეთა, ფანჯარა უფრო ფართოდ გამოაღო და თავადაც დაჯდა.

- გისმენთ.

- არა... ეს მე გისმენთ, ალბათ იცით ჩემი ანალიზის პასუხები და თქვენი აზრი მაინტერესებს.

- აბა რა გითხრა ძმაო,თავადაც ხედავ ტყუილად წვალობ, რადგან ერთი წლის განმავლობაში შედეგი არ გაქვს, ვერაფრით დაგაიმედებ.-- ჟურნალში რაღაც ჩაინიშნა და მზერა ჩემზე შეაჩერა.

- მაგრამ, ხომ მქონდა შედეგი, რვა თვე ყველაფერი კარგად მიდიოდა და მას შემდეგ,რაც წამლები შემიცვალეს, მერე გავხდი ისევ ცუდად.

- მკურნალობა გიტარდებოდა ისე, როგორც საჭირო იყო და აქ წამლები არაფერ შუაშია. რეალურად უნდა შეაფასო სიტუაცია.

- მკურნალობის გაგრძელებას აზრი არ აქვს?

- აბა რა გითხრა...

- კი, მე მესმის ჩემი მდგომარეობა, მაგრამ იქნებ რაიმე გამოსავალი არსებობს მაინც... იქნებ ფილტვის ოპერაცია გამიკეთდეს....

- არა არა, რა ოპერაცია,ამ ეტაპმა უკვე დიდი ხანია ჩაიარა, მაგაზე თავის დროზე უნდა გეფიქრა.

- ჰოო, მე კი ვფიქრობდი რა თქმა უნდა, მაგრამ.... იქნებ საზღვარგარეთ ვცადო ბედი და ევროპაში წავიდე?

- იცი რას გეტყვი? სამწუხაროდ სასწაულებს არც ევროპაში ახდენენ და სხვათაშორის, ბევრ ევროპულ ქვეყანაზე უკეთესი მკურნალობა გვაქვს აქ...

– ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერი დამთავრებულია და აღარ ღირს მკურნალობის გაგრძელება?

ჟურნალში რაღაცას გაფაციცებით წერდა და ჩემს შეკითხვაზე თავი არ აუწევია ისე მიპასუხა:

– მე ქირურგი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ... ბოდიშს გიხდი, ძალიან ბევრი ხალხი მელოდება და ცოტა დრო მაქვს.

– რამდენ ადამიანს ისტუმრებთ მოუსავლეთში ასე, ყოველდღე და დაუფიქრებლად?

– ვერ გავიგე?

- არც არის საჭირო... კარგად ბრძანდებოდეთ. დარწმუნებული ვარ კიდევ შევხვდებით და იმედი მაქვს ეს საუბარი გემახსოვრებათ. --მოვტრიალდი,კაბინეტიდან გამოვედი და სანამ ავტობუსის გაჩერებაზე მივიდოდი, სახლში დავრეკე და მეუღლეს ვუთხარი:--აბასთუმანში მივდივარ ისევ და ბარგი გაამზადე-მეთქი.--რაო, რა მოხდა?

- ექიმმა მირჩია და დილით უნდა წავიდე.

მას შემდეგ 30 თვე აბასთუმანში გავატარე, მდგომარეობა რათქმაუნდა, კიდევ უფრო დამიმძიმდა, მხოლოდ 2012 წლის გვიან შემოდგომაზე მოვახერხე ევროპაში წამოსვლა....

ალბათ ხსენებული ექიმი ისევ თავის სპეციალობით მუშაობს დღემდე, ან იქნებ დაწინაურებული იყოს წარმატებული მოღვაწეობისთვის, რადგან უმეტესად ასეთებს აწინაურებენ... სადაც არ უნდა იყოს, მინდა ხმამაღლა და ყველას გასაგონად გავუმეორო ის შეკითხვა, რომელიც კაბინეტიდან გამოსვლის წინ დავუსვი:

- რამდენ ადამიანს ისტუმრებთ მოუსავლეთში ასე, ყოველდღე და დაუფიქრებლად?... რამდენი გაისტუმრეთ კიდევ ჩემს შემდეგ???

ამ კითხვის დასმის სურვილი შოთა ლიპარტელიანს საქართველოდან საფრანგეთში წასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაუმძაფრდა, სადაც მას ფილტვზე ოპერაცია წარმატებით ჩაუტარდა და დღეს ის, პრაქტიკულად, ჯანმრთელია. ის პაციენტებთან ერთად სანიტრებისა და ექთნების, იმ ადამიანების არასასურველ გარემოში მუშაობაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელთაც ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფების მოვლა ევალებათ და მათთან უშუალო კონტაქტი უწევთ. ამ ჩანაწერების პარალელურად, საქართველოს ტუბ. დისპანსერის პაციენტები,რამდენიმე დღეა, პროტესტის ნიშნად საკვებისა და მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებენ და შესაბამისი ორგანოებისგან ყურადღებას ითხოვენ. „არასრულფასოვანი მკურნალობის გამო, ხალხი ყოველდღიურად იღუპება. მოვითხოვთ, გადადგეს დირექტორი სამკურნალო დარგში - ნანა ქირია და გამოძიებულ იქნას ის ფინანსური მაქინაციები, რასაც წლების განმავლობაში ადგილი აქვს ამ დაწესებულებაში. ასევე, დანერგილ იქნას მკურნალობის აუცილებელი პირობები. გთხოვთ ჟურნალისტებს, არ დაგვტოვოთ უყურადღებოდ, თქვენი თანადგომა გვჭირდება“, - აცხადებენ პაციენტები. ჩვენი ინფორმაციით,საპროტესტო

(გაგრძელება გვ.4)

ევროპული დიპლომი ვაშლოვანს...



გვ. 3

მილიონიანი პროექტი ზემო მაჩხაანში

გვ. 3

პატიმართა შეწყალების კრიტერიუმები შეიცვალა

გვ. 2

დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მოადგილესთან აკაკი ნატროშვილთან ერთად დედოფლისწყაროს სათნოების სახლის ბენეფიციარები მოინახულა და საჩუქრად ამერიკული ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილი სუპები გადასცა. შეგახსენებთ, ახლახან, ამგვარი საჩუქარი კახეთის გუბერნიამ რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტში მოქმედ მიუსაფართა სახლებს გაუგზავნა.

ფილიპ დიმიტროვი - ქართველი ხალხი ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერას იმსახურებს

მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერას, - ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკავშირის წარმომადგენელმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, თავისთავად ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა ეს არ არის გზის დასასრული, ეს არის ფაქტობრივად დასაწყისი.

"ეს არის დასაწყისი გზის ახალი მონაკვეთისა, რომელიც საქართველომ უნდა გაიაროს, რათა მიაღწიოს ევროკავშირთან ახლო ურთიერთობას, რაც ქართული გაგებით ოჯახის ნაწილად გახდომას ნიშნავს. ის, რომ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი პროევროპული, პროდასავლური, პროევროატლანტიკური ტენდენციები, მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ასეთი ხალხი იმსახურებს, რომ მოხდეს ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა", - აღნიშნა ფილიპ დიმიტროვმა.

მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ არის ბევრი საკითი, რომლებიც გაუმჯობესდა და არის საკითხები, რომლებიც უნდა გაუმჯობესდეს.

პატიმართა შეწყალების კრიტერიუმები შეიცვალა

პატიმართა შეწყალების სახელმწიფო კომისიის დებულებაში ცვლილებები განხორციელდა. პატიმართა შეწყალების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელის ალეკო ელისაშვილის განცხადებით, ცვლილებების მიხედვით, შეწყალება უფრო მეტ პატიმარზე გავრცელდება.

„დებულება გახდა უფრო ადამიანური, მკაფიო და სამართლიანი. ახალი კრიტერიუმი ძალიან ბევრ პატიმარზე გავრცელდება. ბევრს შეწყალების უფლება ეზღუდებოდა და ახალი დებულებით ეს უფლება მეტ პატიმარზე გავრცელდება. დებულებაზე მუშაობის პროცესში, პირველ რიგში, გათვალისწინებული იყო შეწყალების სახელმწიფო კომისიის წევრების მოსაზრებები, შემდეგ ეს შევაჯერეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან - იურიდიულ სამსახურთან, შეწყალების დეპარტამენტთან. დისკუსია გაიმართა პრეზიდენტთან. რამდენიმე შეხვედრა შედგა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან. ახალი დებულება ძალიან სერიოზული დისკუსიის და კამათის პროდუქტია. დიდ ხანს, ძალიან დეტალურად ვიხილავდით, თითოეულ მუხლს სერიოზული კამათი უძღვოდა წინ", — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" ელისაშვილმა.

სააგენტოს კითხვაზე, მისცემს თუ არა ახალი დებულება პრეზიდენტს შესაძლებლობას, პატიმრები კომისიის გვერდის ავლით შეიწყალოს, როგორ ეს გასულ წლებში ხდებოდა, ელისაშვილმა განმარტა, რომ შეწყალების კომისია სარეკომენდაციო ფუნქციის ორგანოა და ასეთად რჩება. ელისაშვილმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის მითითებაა, თითოეული პატიმრის საქმე კომისიამ აუცილებლად განიხილოს.

„ეს არის მითითება, თუმცა პრეზიდენტს კონსტიტუციით შეუძლია, ვინც როცა უნდა, ისე გაათავისუფლოს. მოცემულობა ასეთია: - პრეზიდენტმა კომისია „აიყვანა" და გვთხოვა, ჩვენ მას ე.წ. შავი საქმე შევუსრულოთ. ახლა 1300 საქმიდან 500 საქმე გადავარჩიეთ. პრეზიდენტი 1300 საქმე ვერ წაიკითხავს და ვერ გადაარჩევს. ამ „შავ საქმეს" საზოგადოებისთვის სანდო ადამიანები აკეთებენ და შესაწყალებელ პატიმრებზე კომისია პრეზიდენტს რეკომენდაციას უგზავნის. რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო არ არის — ყოფილა შემთხვევა, როცა შეწყალებაზე რეკომენდაცია გადავაგზავნეთ, მაგრამ პრეზიდენტმა რამდენიმე პატიმრის შეწყალებაზე უარი თქვა. მიხეილ სააკაშვილის დროს სია 100%-ით იცვლებოდა. ასეთი რამ ახლა თუ მოხდება, კომისიაში არც ერთი ადამინი არ დარჩება, მაგრამ არ მომხდარა. ჩვენსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობას ეთიკა და ურთიერთპატივისცემა არეგულირებს", — აცხადებს ელისაშვილი.

პატიმართა შეწყალების სახელმწიფო კომისიის დებულებაში ცვლილებების დოკუმენტს პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი. დოკუმენტი „საკანონმდებლო მაცნეში" დღეს გამოქვეყნდება.

პრემიერის ინიციატივა: კონსტიტუციაში ჩაიწეროს ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ინიციატივით გამოვიდა, კონსტიტუციაში მოხდეს ჩანაწერის გაკეთება, რომლის მიხედვითაც ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა. პრემიერის განცხადებით, არსებული კანონმდებლობით ოჯახი ისედაც განისაზღვრება, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, თუმცა სასურველია ოჯახის დეფინიცია კონსტიტუციითაც იყოს გამყარებული.

„ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი მოვამზადეთ, რაც ასახავს პირველ რიგში ქართველი ხალხის შემწყნარებლობის ტრადიციას, რომლითაც ქართველები არიან ცნობილნი. განსხვავებული რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების და განსხვავებული ცხოვრების წესის ადამიანები საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი, თუნდაც განსხვავებული ცხოვრების წესი. შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მიდგომები, მაგრამ ამ თემით სპეკულირება არ უნდა მოხდეს. ამიტომ გამოვდივარ ინიციატივით და მივმართავ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, განიხილონ შემდეგი ინიციატივა - მოხდეს კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთება, რომლის მიხედვითაც ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა. ასე მოიქცა ლატვია, შარშან კი ხორვატია, ევროკავშირში შესვლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული კანონმდელობით ოჯახი ისედაც განისაზღვრება როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, რომ არ მოხდეს არასწორი ინტერპრეტირება, სასურველია კონსტიტუციაში ამ ჩანაწერის არსებობა", - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ეს საკითხი კოალიციის პოლიტსაბჭოზეც განიხილეს და ინიციატივა ერთხმად იქნა მოწონებული.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტი კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ასაკოვანი ადამიანების გარიყვას საზოგადოებისგან და მიზნად ისახავს მათ ჩართულობას ქვეყნის მშენებლობაში.

„ამით ვქმნით მოქნილ მექანიზმს იმისთვის, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლმა მისი სატკივარი სახალხო დამცველამდე მიიტანოს, რომელსაც დაევალება საფუძვლიანად შეისწავლოს საჩივარი და დახმარება აღმოუჩინოს მას, ვისი უფლებებიც დაირღვა.

ეს კანონი არავისთვის არ ქმნის რაიმე ტიპის ახალ უფლებას. საზოგადოების არცერთ ჯგუფს რაიმე ტიპის პრივილეგიას არ ანიჭებს, ან რაიმე უფლებას არ ართმევს. უზრუნველყოფს მხოლოდ იმას, რომ ყველამ თანაბრად ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რაც კანონმდებლობით და კონსტიტუციით გვაქვს უზრუნველყოფილი. ჩვენ ვართ სახელმწიფო და თითოეული ადამიანის უფლება უნდა დავიცვათ, როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს ის", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი პარლამენტს განსახილველად უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.

სიღნაღის საგამოცდო ცენტრი გაუქმდა

კახეთში, 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის საგამოცდო ცენტრი მხოლოდ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, სიღნაღის საგამოცდო ცენტრის გაუქმების გადაწყვეტილება ამავე ქალაქში უმაღლესი სასწავლებლის დახურვის გამო მიიღეს.

„2014 წელს, საგამოცდო ცენტრი კახეთში მხოლოდ თელავში გაიხსნება. როდესაც საგამოცდო ცენტრების გახსნაზე იყო საუბარი, ცენტრები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იხსნებოდა, სადაც აბიტურიენტები მომავალში გააგრძელებდნენ სწავლას. სიღნაღში უნივერსიტეტის ფილიალი მუშაობდა და საგამოცდო ცენტრიც ამ მიზნით იყო გახსნილი. იქიდან გამომდინარე, რომ სიღნაღში უმაღლესი სასწავლო დაწესებულება აღარ არსებობს, გაუქმდა საგამოცდო ცენტრიც. ეს გადაწყვეტილება არანაირად არ უკავშირდება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირებული აბიტურიენტების რაოდენობას", — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს შეფასებისა და გამოცდების ცენტრის დირექტორის მოადგილემ ივა მინდაძემ.

მინდაძის განმარტებით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნილ საგამოცდო ცენტრში ჩატარდება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაც.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის წელს, საქართველოში სულ 20 საგამოცდო ცენტრი გაიხსნება.

საქველმოქმედო კონცერტი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, შემოსული თანხა ,,წმინდა ელია თეზბიტელის" მამათა მონასტრის კელიების მშენებლობას მოხმარდება.

საღამო გია ყაჭაშვილის ვიდეორგოლით გაიხსნა, რომელიც ელიას მთაზეა გადაღებული. კონცერტში მონაწილეობდნენ კულტურის სახლებთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ხელოვნების სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

კონცერტზე მოწვეული იყო ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელოება.

ღონისძიებას ესწრებოდა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პაროდისტი, წარმოშობით დედოფლისწყაროელი მსახიობი ქართლოს ნატროშვილი. საქველმოქმედო საღამოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და დედოფლისწყაროს გამგებელიც დაესწრო.

ბილეთის რეალიზებიდან შემოსული თანხის გარდა მაყურებელს კელიების მშენებლობაში წვლილის შეტანა შესაწირი ყუთის მეშვეობითაც შეეძლო. ბოლო დროს, ამგვარი შინაარსის საქველმოქმედო კონცერტები დედოფლისწყაროში ხშირად ტარდება.

ილია მარტყოფლიშვილი

უბედურ შემთხვევას ორი ახალგაზრდა ემსხვერპლა

ტყიბულში, ე.წ. ახალსოფლის წყალსაცავში გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი „ოპელის" მარკის მსუბუქი ავტომობილი გადავარდა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ავტომანქანაში დედოფლისწყაროში მცხოვრები 36 წლის დალი გელაშვილი და თერჯოლის რაიონის სოფელი ძევრში მცხოვრები 24 წლის უჩა ბერძული იმყოფებოდნენ. ორივე მათგანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც გაზეთ „შირაქს" შსს-ს პრესცენტრში განუცხადეს, გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1978 წელს დაბადებული დალი გელაშვილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში ნუგზარ ლეკაშვილთან ქორწინებაში იმყოფებოდა.

გარდაცვლილები თავდაპირველად შემთხვევის ადგილიდან ქუთაისის პროზექტურაში გადაასვენეს.

პოლიციის მიერ გამოძახებული იყო სასწრაფო დახმარების ბრიგადები, დაუყოვნებლივ მივედით შემთხვევის ადგილზე, შაორის პლატინის ტერიტორიაზე. ადგილზე ყველა შესაბამისი სამსახური იყო მობილიზებული. თუმცა მანქანის ამოყვანისთანავე ქალბატონსა და მამაკაცს არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი არ აღენიშნებოდა. ცხედრები დაუყოვნებლივ პროზექტურაში გადავასვენეთ," - აცხადებს ტყიბულის სასწრაფო დახმარების ბრიგადის მორიგე ექიმი რამაზ იამანიძე

„ქალბატონს მეუღლე სამი წლის წინ გარდაეცვალა და მცირეწლოვანი ბავშვია დარჩა. სოციალურად დაუცველი ოჯახია, ახლახან ჩვენთან იმყოფებოდა და სათბობი შეშით დახმარება გავუწიეთ. უჭირდა და წასული იყო, როგორც ამბობენ, გარდაცვლილს გორში, მშობლიურ მხარეში დაკრძალავენ," — აღნიშნავს სოფელ სამრეკლოს რწმუნებული ლევან მაძღარაშვილი.

მომხდართან დაკავშირებით საქმე სს კოდექსის 276 მუხლითაა აღძრული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ილია მარტყოფლიშვილი

ზემო მაჩხაანში წყლის სისტემის მილიონიანი პროექტი იწყება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში ყველაზე მწვავედ წყლის პრობლემაზე საუბრობენ. უკვე არაერთი წელია ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლებისგან წყალმომარაგების პრობლემის მოგვარებას ითხოვს, თუმცა უშედეგოდ. კახეთის გუბერნიაში კი განმარტავენ, რომ სოფელ ზემო მაჩხაანისთვის აქილევსის ქუსლად ქცეული წყლის პრობლემის მოგვარების პერსპექტივა რეალურია. სოფელში მას უკვე უწოდეს საშვილიშვილო პროექტი.

ზემო მაჩხაანი დედოფლისწყაროში ერთ-ერთი დიდი ქიზიყური სოფელია, ის დედოფლისწყარო-სიღნაღის გზატკეცილზე მდებარეობს და რაიონული ცენტრისგან 22 კილომეტრითაა დაშორებული. ამასთან, ზემო მაჩხაანი ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული სოფელია, ბოლო აღწერის მიხედვით აქ 1500 კომლი და 3 000 მდე ადამიანი ცხოვრობს. სოფლის ერთ ნაწილს ამ დრომდე წყალი საუბნო ძველი ონკანების მეშვეობით მიწოდება და ისიც გრაფიკით... ზემო მაჩხაანში წყლის ონკანთან ურიკებით რიგები ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება.

მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ე. წ გედიქის ხევიდან სოფელ ზემო მაჩხაანის წყლის რეზერვუარებამდე წყალმომარაგების ახალი სადაწნევო მაგისტრალური ქსელის მოწყობაზე 724 690 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ნოვა“ აწარმოებს. როგორც დედოფლისწყაროს გამგეობაში განმარტავენ, კომპანიასთან ხელშეკრულება 12 მარტს გაფორმდა და მან სამუშაოები 100 დღის ვადაში უნდა დაასრულოს.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მაგდა პოპიაშვილმა გვაცნობა, რეაბილიტაციის პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაფინანსდება. აღნიშნული პროექტებიის შესახებ უკვე იმსჯელა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ და მათ დადებითი რეკომენდაციაც გაუწია.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროექტების მიხედვით, ზემო მაჩხაანის რეზერვუარებამდე ახალი წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელი მოეწყობა.

გაზეთი „შირაქი“ წყალმომარაგების პრობლემებთან დაკავშირებით მაჩხაანელების პოზიციით დაინტერესდა და მოსახლეობა გამოკითხა.

ქევსირი ნასრაშვილი (**წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენელი):** „მაჩხაანი საერთოდ, უწყლო ქვეყანაა. ჩვენ ძირითადად სოფელ არბოშიკიდან ვმარაგდებით, შესაბამისად, თუ ელექტროენერგია არ იყო, წყალი ვერ ამოიტუმბება. ფაქტიურად წყალი რომ გრაფიკით არის, ამის გამო მოსახლეობას გადასახადის დაფარვაზეც პრეტენზიები აქვს. თუკი ნორმალური წყალმომარაგება იქნება, გადასახადის ამოღების მაჩვენებელიც გაუმჯობესდება. ზაფხულში საერთო ონკანებთან იმხელა რიგებია, ხშირად 30-40 კაცი იცდის.“

„მაგისტრალი მთლიანად უნდა შეიცვალოს და პლასტმასის მილები დაიფინოს. ძალიან მოძველებული ხაზებია. ამ წყალს რომ მოვიხმართ, ჭიქით რომ დავდგათ, ჩანს ჟანგიანი წყალი მოდის. სასმელად ამას რომ ვიყენებთ, კუჭი აღარც მე მივარგა აღარც სხვას. ასე ხომ არ შეიძლება, ნორმალურ წყალს ხომ უნდა ვსვამდეთ. ბევრჯერ ყოფილა, ზამთარშიც და ზაფხულშიც, რომ წყალი არ არის. განსაკუთრებით რთული ვითარება ზაფხულშია. ხან კილომეტრიდან მოგვაქვს წყალი. უბნელები შევქუჩდებით ხოლმე, წავალთ და უზარმაზარ რიგებს ვუცდით, იქაც როგორც არყის სახდელი, ისე წვეთავს,“ - მეუბნებიან სოფლის გასასვლელში მობირჟავე ასაკოვანი კაცები.

იმავე პოზიციას აფიქსირებენ კულტურის სახლის ყოფილ შენობასთან თავმოყრილი მამაკაცები. ისინი წყალს სოფლის ნომერ პირველ პრობლემას უწოდებენ, ხელისუფლების ინიციატივას მიესალმებიან და აცხადებენ, რომ წყლის პრობლემა აქ ყველაზე მწვავედ დგას.

„მასიურად შეიყვანა ხალხმა წყალი სახლებში, მაგრამ როგორც უნდა მოგვეწოდებოდეს ისე არ გვაქვს. ის ძველი ბასეინი თქვენც ხედავთ რომ ყველაზე მაღალ წერტილში მდებარეობს, ასე რომ თუ მისი გასუფთავება და მასშტაბური რეაბილიტაცია მოხერხდა, ამის შემდეგ თვითდინებით მივიღებთ წყალს და ელექტროენერგიაზე აღარ ვიქნებით დამოკიდებულნი“.

კომპანია „ნოვა“-ს მიერ 724 690 ლარიანი პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობის ეზოებში წყლის ინდივიდუალური შეყვანის სამუშაოები კვლავ შესასრულებელი დარჩება. დედოფლისწყაროს გამგეობაში აცხადებენ, რომ ინდივიდუალურად შეყვანა სოფლის დახმარების პროგრამისთვის მიმდინარე წელს გათვალისწინებული თანხით დაფინანსდება და ამ მხრივ შეფერხება მოსალოდნელი არ არის.

დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე **აკაკი ნატროშვილი** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ სოფლის პროგრამის თანხების ამ პროექტის დასრულებისკენ გადამისამართება ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფლის საერთო კრებაზე გადაწყვიტა. მისი თქმით, ადგილობრივებისთვის ამ ეტაპზე ყველაზე პრიორიტეტული სწორედ წყალმომარაგების პრობლემის გადაჭრაა.

„ორი დიდი რეზერვუარი აქვს სოფელს, რომლის რეაბილიტაციაც იგეგმება და საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღებთ ავზს, რომელიც 5 000 ტონა წყალს დაიტევს, ეს კი ქიზიყში ერთ ერთი დიდი რეზერვუარია,“ - აღნიშნავს აკაკი ნატროშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაშლოვანის ნაკრძალისთვის ევროპული დიპლომის მისანიჭებლად ევროსაბჭოში განაცხადი შევიდა

დაცული ტერიტორიების სააგენტომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის ევროპული დიპლომის მინიჭების შესახებ ევროსაბჭოში განაცხადი შეიტანა.

დაცული ტერიტორიებისათვის ევროპული დიპლომის მინიჭების შესახებ საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სამდივნოს ეგიდით სპეციალისტთა ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე რატი ჯაფარიძე დაესწრო.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დისკუსიის მომდევნო ეტაპს, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ევროდიპლომის მინიჭების კომისიის ექსპერტთა ვიზიტი და მათი შემდგომი შეფასება წარმოადგენს. ერთი წლის ვადაში კი ცნობილი გახდება დაკმაყოფილდა თუ არა განაცხადი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის პრესტიჟული ევროპული დიპლომის მინიჭების მოთხოვნა.

ცნობისთვის, დაცული ტერიტორიების ევროპული დიპლომი პრესტიჟულ საერთაშორისო პრემიას წარმოადგენს, რომელიც 1965 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ინიციატივით დაინერგა.

ჯილდო სამაგალითო მენეჯმენტის მქონე დაცულ ტერიტორიებს მათი კულტურულ-ესთეტიური, სამეცნიერო ღირებულებებისა და ევროპული მნიშვნელობის მასშტაბის მქონე ბიოლოგიური, გეოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების გამო გადაეცემათ.

დედოფლისწყაროში ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი შემცირდა

(პირველი გვერდიდან)

გამოსვლებს მედპერსონალიც გეგმავდა, მაგრამ სამსახურის დაკარგვის შიშით თავი შეიკავეს.

„მინდა ერთი ტრაგიკული ამბავი გიამბოთ, ერთ იმ ტრაგიკულ ამბავთაგანი,როგორიც ასობით და ათასობით ხდება ჩვენს ცოდვილ ქვეყანაში.

2012 წლის აღდგომა ახალი გასული იყო,მაშინ ჯერკიდევ აბასთუმანში ვიყავი, აბასთუმნის ტუბ.საავადმყოფოში. უკვე ცხრა წელი სრულდებოდა,რაც ფაქტიურად საავადმყოფოში ვცხოვრობდი. ადრე ზამთარს სახლში ვატარებდი,რადგან აბასთუმანში ძალიან ციოდა გათბობა არ იყო, ელექტრო პლიტებით ძნელი იყო პალატის გათბობა.გაზაფხულზე ისევ აბასთუმანს მივაშურებდი ხოლმე. იმდენად მივეჩვიე იქაურობას, რომ თბილისში ვერ ვჩერდებოდი,მეგონა, რომ ჩემი სიცოცხლის გასაღები აბასთუმანში იყო მხოლოდ. ბევრი მკითხაობისა და მარჩიელობის შემდეგ ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ უიმედო ავადმყოფი ვიყავი და მკურნალობას არ ვექვემდებარებოდი. მეუბნებოდნენ,რომ ცოტახანი ვიცოცხლებდი და შეწუხებულები და ხელებგაშლილი მხრებს იჩეჩდნენ, ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლიაო. ეს ცოტა ხანი წლები გაგრძელდა და რადგან მეშინოდა ოჯახის წევრები ,ახლობლები ან თუნდაც ნებისმიერი ადამიანი საფრთხეში არ ჩამეგდო,რადგან მოგეხსენებათ ეს დაავადება გადამდებია,ამიტომ ნელნელა სულ გადავბარგდი აბასთუმანში.იქ შემეძლო მეტნაკლებად იზოლირებული ვყოფილიყავი და ამით ჩემგან დამეცვა სხვა ადამიანები.2008-ში შემოვიდა ნანატრი Dმთშ ჯგუშ-ით მკურნალობის პროგრამა, რომელიც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმით დაავადებულთათვის იყო განკუთვნილი და ბევრ იმედგადაწურულ ავადმყოფს, ჩემს მსგავსად იმედი გაუჩნდა, სიცოცხლის თავიდან დაწყების იმედი.....ბევრი რომ არ გავაგრძელო, გეტყვით მხოლოდ, რომ ორწლიანმა ჯოჯოხეთურ პირობებში მკურნალობამ უმრავლესობისთვის შედეგი არ მოიტანა და მათ შორის აღმოვჩნდი მეც.... ფანერებით გადატხრეს განყოფილება,უშედეგოდ ნამკურნალები ხალხი ვინც სახლში წასვლაზე ვერ დაიყოლიეს,მოგვათავსეს ამ ტიხარის იქეთ. იმედს მაინც არ ვკარგავდით, ვაწყობდით გეგმებს, თუ როგორ წავსულიყავით საზღვარგარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ექიმების უმეტესობა გვეუბნებოდა,რომ ევროპაში წასვლას აზრი არ ჰქონდა და ზუსტად ისეთივე მკურნალობა იყო იქაც, როგორიც აბასთუმანში (თუმცა იყვნენ ექიმები,რომლებიც იმედს არ გვიკლავდნენ და გვეუბნებოდნენ,რომ ევროპაში აუცილებლად გადავრჩებოდით, რაც ბევრს სამსახურის ფასად დაუჯდა, იმათ ნამდვილად ამაგს ვერ დავუკარგავ და სხვა დროს უფრო დაწვრილებით გეტყვით მათზეც, ასეთები იყვნენ, როგორც აბასთუმანში ასევე "ხუდადოვზე").

მინდა დავუბრუნდე 2012 წელს მომხდარ შემთხვევას. პალეატიურ განყოფილებაში გვყავდა ერთი ქუთაისელი ბიჭი და იმ დროს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ის იყო, უკვე ჟანგბადის ბალიშები სჭირდებოდა. რამდენიმე დღეში იმდენად გაუარესდა მდგომარეობა,რომ ექთნები უკვე ამ ბალიშებით სირბილს ვეღარ აუდიოდნენ. მალე სამედიცინო ჟანგბადის ბალონი დაუდგეს პალატაში. უკვე იმდენი ჟანგბადი სჭირდებოდა,რომ ერთი დღეღამე ყოფნიდა მხოლოდ ერთი ბალონი. ჟანგბადის მეორე ბალონიც მოგვცა მენეჯერმა. აღსნინავია,რომ ბალონების ექსპლუატაცია ხდებოდა უსაფრთხოების ყველა წესის დარღვევით. მახსოვს როგორ მოვაგორებდით კორიდორში ამ ბალონს. ხან სანიტრები,ხან ექთნები და ხანაც ავადმყოფები. თავად ვაკეთებდით ყველაფერს და ვერ ვაცნობიერებდით იმ საშიშროებას რაც ერთ მცირე შეცდომას შეიძლება მოჰყოლოდა,ან და ვინც ვაცნობიერებდით, ვცდილობდით არ შეგვემჩნია ეს ყველაფერი.... იცით, რა წარმოუდგენლად ძნელია,როცა ადამიანი ხელებში შემოგყურებს,უჰაეროობით გაწამებული,ფერდაკარგული და გაფართოებული თვალებით,შენი ხელების სიმარდეზეა დამოკიდებული,ადამიანისთვის სანატრელი ჟანგბადის ჩასუნთქვა? ეს ერთადერთია, რისი გაკეთებაც იმ დროს შეგიძლია,რათა ტანჯვა ოდნავ მაინც შეუმსუბუქო... მეორე ბალონშიც ჟანგბადი უკვე თავდება, მენეჯერმა კი შემოგვითვალა,მე ვალდებული ვარ მოგცეთ მხლოდ ერთი ბალონი კვირაში და მეტი არ მევალებაო. მეორე ბალონიც რომ მოგეცით, სიკეთე გამოვიჩინეო. რას არ ვეცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით,არადა საღამომდე ჟანგბადი გვჭირდება, თუ არა და ადამიანი უჰაერობით დაგვეხრჩობა.... (მერე კი აღმოჩნდა,რომ ჟანგბადის რამდენიმე ბალონი გადანახული იყო საჭიროებისთვის). მანამდე კი დავიწყეთ ფულის შეგროვება ავადმყოფებში. ამ დროს ,თუ ვინმეს ბოლო თეთრი აქვს გადანახული არავინ იშურებს. ვის ხუთი ლარი ჰქონდა ვის ათი და ვის ერთი და ორი ლარი. საღღაც ექვსი თუ შვიდი ბალონის საყიდელი ფული შეგვიგროვდა.რამდენიმე წუთის დამთავრებული იყო ჟანგბადი,კიდევ რამდენიმე წუთი და ადამიანი უჰაერობისგან გაიგუდებოდა. რომ იტყვიან სულზე მოვუსწარით და ვიღა დაგიდევდა უსაფრთხოების წესებს, სასწრაფოდ შემოვაგორეთ ბალონები. გვეხმარებოდნენ სანიტრები და ექთნები,თუ ჩვენ,ავადმყოფები ვეხმარებოდით მათ. აქვე უნდა ვთქვა რომ,ის ჯოჯოხეთური სამუშაო,რასაც ისინი ასრულებენ,სრულად დაუფასებელია, როგორც ხელმძღვანელების მიერ, რაც შეურაცხმყოფელად დაბალ ხელფასში გამოიხატება, ასევე ავადმყოფთა უმრავლესობის მხრიდან,რაც ხშირ შემთხვევაში უპატივცემულობით და მათი შრომის დაუფასებლობით გამოიხატება.

პერსონალს არ გააჩნია არანაირი სამუშაო პირობები, სხვა რომ არაფერი, მე მინახია,რომ ექთანს რესპირატორი, ნიღაბი სახლში მიჰქონდა გასარეცხად და იმ გარეცხილი ნიღბით მოდიოდა სამსახურში,რადგან ერთი ნიღაბი რამდენიმე დღე უნდა ჰყოფნოდა,არადა ნიღაბი ერთჯერადია და ის ერთხელ მოხმარების შემდეგ უნდა გადააგდო,რადგან კარგავს დამცავ თვისებებს. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში რამდენიმე ექთანი და სანიტარი დაავადდნენ კიდეც... მოკლედ სასწრაფოდ დავაყენეთ ახალი ბალონი და ცოტა შვებით ამოვისუნთქეთ. ის ბალონი ღამის სამ საათამდე ეყო მხოლოდ, თანდათან სულ მეტი და მეტი ჟანგბადი იყო საჭირო. მეორე დღეს მეუღლე მოვიდა სახლიდან და სიკვდილის დღემდე სასთუმალთან უჯდა. სამი თუ ოთხი დღე იცოცხლა კიდევ... მესამე დღეს კიდევ შევაგროვეთ ფული,ოთხი მალონის ყიდვა მოვახერხეთ მხოლოდ,მაგრამ ის ოთხიდან მხოლოდ ორი დაგვჭირდა და ორიც დავუბრუნეთ ბატონ მენეჯერს. ბოლოს უკვე განამებულმა და სიცოცხლე მობეზრებულმა, ჟანგბადის მილი პირიდან გამოიღო. დავიღალე,მაცადეთ სიკვდილიო,ძლივს გასაგონად ამოთქვა და რამდენიმე წამში გონება დაკარგა,მალე სულიც განუტევა. ვიყავით თხუტმეტი-ოცი ადამიანი.ზოგი აცრემლებული თვალებით,ზოგი თავწაღუნული დრო და დრო ღრმად ამოიოხრავდნენ. ყველას თვალებში გარდაუვალი სიკვდილის შიში იკითხებოდა. ალბათ ყველა თავის თავს ხედავდა ახლად გარდაცვლილში და ნათლად ხედავდა იმ კოშმარს, რაც სავარაუდოდ ახლო მომავალში თავადაც ელოდა. ასე მეორდებოდა მუდმივად. მოდიოდნენ პალეატიურ განყოფილებაში. რამდენიმე კვირაში,თუ თვეში საშინელ ტანჯვაში ღაფავდნენ სულს. ვინც დღეს ჟანგბადის ბალონებზე დარბოდა,რათა მომაკვდავისთვის რამდენიმე დღით სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მალე თავად საჭიროებდნენ ჟანგბადის ბალონებს და საავადმყოფოს მენეჯრი,რომელმაც პირველი,რაც გააკეთა ახალ სამსახურში მოსვლისას,იყო ის,რომ დირექტორის ძველ კაბინეტს კიდევ ერთი ოთახი მიუმატა,გააკეთა სრული ევრორემონტი,ავადმყოფების მენიუდან ამოიღო ხუთი ძირითადი კერძი და ქეიფსა და დროსტარებაში დაღლილი,კმაყოფილი იმით,თუ რა წარმატებით უძღვებოდა თავის საქმეს ,შემოგვითვლიდა ხოლმე. მე არ ვარ ვალდებული კვირაში ერთ ბალონზე მეტი მოგცეთო....

P.S. მე წელიწად ნახევარია უკვე,რაც იმ ჯოჯოხეთს თავი დავაღწიე და პარიზში ვამთავრებ მკურნალობას. აბასთუმანში კი დღემდე მეორდება მსგავსი შემთხვევები და დღემდე ასეთი სიტყვებით ისტუმრებს ბატონი მენეჯერი ავადმყოფებს: "კვირაში ერთი ბალონი მოგეცით, მეტი არ მევალება და ტყუილად ნუ მთხოვთ"-ო....

ასეთ პირობებში მყოფი ავადმყოფების ერთი ნაწილის ფსიქიკა ვერ უძლებს ამ სიტუაციას და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს არა მხოლოდ აბასთუმანში, არამედ თბილისის ტუბდისპანსერშიც.

* * *

24 მარტს ტუბერკულოზის მსოფლიო დღე აღინიშნება, 2014 წელს კი ამ დღის მთავარი თემა ტუბერკულოზის გამოვლენის ხელშეწყობაა. მსოფლიოში ტუბერკულოზით ყოველწლიურად 9 მილიონი ადამიანი ავადდება, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ტუბერკულოზის სამ მილიონამდე შემთხვევა გამოუვლენელი რჩება.

ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოში ჩატარდა კონფერენცია სლოგანით - „გამოავლინე სამი მილიონი". შეხვედრას საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ცენტრის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტუბერკულოზის პრევენციის პროგრამის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის შეფასებით, ამ კუთხით ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია არასახარბიელოა. "ეს სიტუაცია გაართულა ამნისტიამ, როდესაც დაახლოებით 18 ათასამდე პატიმარი გარეთ გამოვიდა. რა თქმა უნდა, აქედან ყველა დაავადებული არ არის, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ინფექციის მატარებელია. იტარებენ თუ არა ისინი შესაბამის მკურნალობას, ამის კონტროლი ვერ ხორციელდება. ამასთან, სასჯელაღსრულების სისტემაში ხშირია შემთხვევა, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო, პატიმარი მკურნალობაზე უარს ამბობს, ამიტომ საკანონმდებლო პაკეტში უნდა შემოვიტანოთ იძულებითი მკურნალობის მოთხოვნაც, რათა პაციენტი ინფექციის კერა არ გახდეს", - ამბობს ხუნდაძე.

მისი განმარტებით, საპარლამენტო კომიტეტში დარგის სპეციალისტების, ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით შემნილია სპეციალური ჯგუფი. ხუნდაძის თქმით, მათი დახმარებით ჩატარდა კვლევა, შეფასდა არსებული ვითარება და პრობლემები, როგორც სამოქალაქო სექტორიში, ისე თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებებში. "შევისწავლეთ იქ არსებული სიტუაცია, შევიმუშავეთ საკანონმდებოლო დონეზე განსახორციელებელი ცვლილებების ძირითადი პრინციპები. უახლოეს მომავალში დავდებთ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც საკანონმდებლო კუთხით გასატარებელი ღონისძიებებისთვის ძირითადი სახელმძღვანელო იქნება", - აღნიშნა ხუნდაძემ.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში ამბობს, რომ სამინისტრო ყურადღებას ხარისხობრივ მკურნალობაზე გაამახვილებს.



მისი თქმით, ასევე მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი პაციენტების დამყოლიანობის კუთხითაც.

"ყოველწლიურად ტუბერკულიოზის მკურნალობისთვის 24 მილიონი ლარი იხარჯება, აქედან 40% სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული, ხოლო დანარჩენი თანხები გლობალური ფონდისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ არის გამოყოფილი.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას, ესაა 2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, რათა ჩვენ არ გვქონდეს წყვეტა ტუბერკულოზის სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვის დროს. აღნიშნული საკითხი უკვე არის გათვალიწინებული და სახელმწიფო 2016 წლიდან ტუბერკულოზის მკურნალობის ხარჯებს თავის თავზე აიღებს", - ამბობს ჯაში.

როგორც "ლიბერალთან" ტუბერკულოზისა და ფილტვის დავადებათა ეროვნულ ცენტრის დირექტორმა ნანა ქირიამ აღნიშნა, ტუბერკულოზთან ბრძოლის პროგრამა 1995 წლის აგვისტოდან მოქმედებს, ამ პერიოდის მანძილზე ტუბერკულოზის შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. მისი თქმით, 1996 წელს ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანების 12600 შემთხვევა იყო რეგისრტიტებული, ბოლო წლებში კი 5000-მდე პაციენტი დარეგისტრირდა. "ერთი შეხედვით ჩანს, რომ 2-ჯერ და მეტადაც შემცირდა ტუბერკულოზის შემთხვევები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტუბერკულოზის პრობლემები ქვეყანაში არ არსებობს, საკმაოდ გაიზარდა დაავადების სტუქტურაში წამლების მიმართ მდგრადი ფორმების რაოდენობამ, დღეს რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვა მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა", - აცხადებს ქირია.

მისი თქმით, ხარისხობრივი კუთხით, საჭიროა რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის გაუმჯობესება.

"დღესდღეობით მსოფლიოში რამდენიმე მედიკამენტია დარეგისტრირებული, რომელიც საქართველოში არ გვაქვს, მიმდინარე წელს კი მოხდება საქართველოს ამ მედიკამენტებით უზრუნველყოფა".

რეზისტენტური ტუბერკულოზის შემთხვევებზე საუბრობს სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნათია ლანდია.

მისი თქმით, დღესდღეობით ჯამში ტუბერკულოზს 200-მდე პატიმარი მკურნალობს. როგორც მან აღნიშნა, პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობა ზუსტად ისეთივე სტანდარტებით მიმდინარეობს, როგორც სამოქალაქო სექტორში. ლანდია ამბობს, რომ 2012 -2013 წლებში მკურნალობის წარმატებით დასრულების შედეგები გაზრდილია, ახალი შემთხვევების დაფიქსირების შემთხვევები კი — შემცირებული. მისი შეფასებით, ყველაზე დიდი გამოწვევა ამჟამად არის ის, რომ რეზისტენტული ფორმების რიცხვი საკმაოდ დიდია, ამ პრობლემის მოგვარების მიზნით კი საფრანგეთის მთავრობასთან თანამშრომლობა იგეგმება.

***

გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა, რა სიტუაციაა ამ მხრივ დედოფლისწყაროში? როგორც ექიმმა ფთიზიატრმა ცირა ნატრიშვილმა განაცხადა," **დედოფლისწყაროში ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა წინა წლებთან შედარებით. მაგალითად, თუ რამდენიმე წლის განმავლობაში წელიწადში 40 პაციენტი იყო რეგისტრაციაზე აყვანილი, 2013 წელს მათი რიცხვი 13-ს შეადგენდა. მართალია, ეს ძირითადად, რეზისტენტული შტამის ხარჯზე მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევებმა იკლო. მინდა, მივმართო მოსახლეობას და ვუთხრა, რომ დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლენის შემთხვევაში ტუბერკულოზი განკურნებადია, ამიტომ დაავადების პირველივე ნიშნების აღმოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს. შეგახსენებთ, რომ დაავადების გამოკვლევა და მკურნალობა უფასოა.**

ტუბდაავადებული, რომელიც წარმატებით მკურნალობს, აღარ არის გადამდები მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში და მითუმეტეს, განკურნების შემდეგ".

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე საუბრობს. მან ყურადღება პერსონალის არასათანადო მოტივაციასა და გადამზადების საჭიროებაზეც გაამახვილა.

გამყრელიძემ სამომავლო გეგმად სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება დაასახელა, რაც, თავის მხრივ, კოორდინირებული სისტემის ჩამოყალიბებას, რეგიონულ სადიაგნოსტიკო შესაძლებლობების გაზრდასა და მესამე რიგის მედიკამენტების შესყიდვას ითვალინინებს.მანამდე კი, სანამ საქართველოში ევროპული სტანდარტები დაინერგება, ერთადერთ გამოსავალს პაციენტები საზღვარგარეთ წასვლაში ხედავენ.

„დაახლოებით სამი წელია,რაც საქართველოდან მასიურად დაიწყეს ტუბერკულოზით დაავადებულებმა თავის გადასარჩენად ევროპაში გადმოხვეწა,მას შემდეგ,რაც ყველა მოლოდინი და იმედი ამოეწურათ და გაჩდნენ პირველი პალეატიური ავადმყოფები,რომელთაც უშედეგოდ დაამთავრეს ახალი პროგრამით გათვალისწინებული ორწლიანი სამკურნალო კურსი.სიკვდილის მოლოდინი სიკვდილზე უარესიაო,- ამბობენ და ბევრი, რა თქმა უნდა, არ დაელოდა სიკვდილს და ევროპაში მოსინჯა ბედი.მალე პირველი შედეგებიც გამოჩნდა,აბსოლიტურად ყველა, ვისაც საქართველოში რამდენიმე თვეში მხოლოდ სიკვდილი ელოდა,პირველივე თვეებში ევროპულმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო,სიცოცხლის თავიდან დაწყების შანსი მიეცათ სასოწარკვეთილ ადამიანებს,რა თქმა უნდა ხმა მალე გავრცელდა და დაიწყო მასიური გამოდინება.ვინც კი წამოსვლა მოახერხა, ყველა გადარჩა და დღეს ყველანი ცოცხლები ვართ,ვინც ვერა და უმეტესწილად,როგორც ხდება ხოლმე,მკურნალობის გაუსაძლის პირობებს ზოგიც ვერ უძლებს და ხშირად წყვეტს მკურნალობას,ვინც კიდე უძლებს და ბოლომდე მიჰყავს მკურნალობის კურსი,მათი უმეტესობა უშედეგოდ ამთავრებს ხსენებულ მკურნალობას,მოდიან ან ევროპაში ,ან ევროპაში წამოსვლაზე ოცნებით ამოსდით სული"...

წელს პირველად ითქვა ხმამაღლა ხელისუფლების მხრიდან, რომ საქართველოში ტუბერკულოზის მკურნალობის სტანდარტი ევროპულისას არ შეესაბამება, ასევე პირველად გამახვილდა ყურადღება პერსონალის არასათანადო მოტივაციასა და გადამზადების საჭიროებაზეც. იმედი გვაქვს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში უცხოური დაფინანსება მკურნალობის გაუმჯობესებას მოხმარდება და არა ზოგიერთი ექიმის კვალიფიკაციის ამაღლების მოტივით შენიღბულ საზღვარგარეთულ ვოიაჟებს.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

G2a - ქართველთა კოდი

„დღეს ყველა კავკასიის შესასწავლად იღვწის – რუსი, ევროპელი, ამერიკელი... რატომ?“

ოფიციალური მონაცემებით, გენები ქრომოსომის მთელი შემადგენლობის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. რა არის დანარჩენი 98%? ეს გარკვევით ჯერ არავინ იცის. ადრე მიაჩნდათ, რომ ეს ჩვენი მიკროსამყაროს უმაქნისი ნაწილი იყო. შემდეგ დადასტურდა, რომ იქ არცთუ უმნიშვნელო ინფორმაცია ინახება... დნმ-ის დიდი ნაწილის ფუნქცია შეუსწავლელია, თუმცა ყველა ერთხმად აღიარებს: აქ არის ერთგვარი კრებითი ინფორმაციის ჩანაწერი, ეს არის არქივი... იმედია, ამ საიდუმლოსაც ადრე თუ გვიან გახსნიან და ჩანაწერს წაიკითხავენ....

ჩვენს გენეტიკურ აპარატში ინახება მონაცემები ჩვენი წარმოშობის, მოდგმის ხანდაზმულობის, დროთა განმავლობაში განცდილი ცვლილებების შესახებაც...

ორიოდე კვირის წინ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს სხდომა, რომელმაც აღიარა საქართველოს (კავკასიის) გენოფონდის შესწავლის სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა. ცოტა ხნის წინ კი მეცნიერებათა აკადემიამ თბილისში მოიწვია ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი ანატოლი კლიოსოვი, რომელიც ერთ-ერთი მათგანია, ვინც ხალხთა გენოფონდის, პოპულაციური გენეტიკის შესწავლით არის დაკავებული. მისი ინტერესის სფერო კავკასიაცაა.

ანატოლი კლიოსოვი, **მეცნიერებათა დოქტორი, ბოსტონის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:** - დნმ-ის ანალიზის აღება ძალიან ადვილია, მისი შემოწმება შეიძლება სისხლით, ნერწყვით, თმის ღერით... არადა, დნმ-ს ძალიან დიდი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია ჩვენს წინაპრებზე. უნდა შედგეს მსოფლიოს რუკა: ვინ საიდან წარმოიშვა, როგორ გადაადგილდებოდა... კავკასიისა და საქართველოს ისტორია ძალიან საინტერესოა ჩვენთვის, რა ხალხებისგან შედგება კავკასია, რით განსხვავდებიან... რომ განსხვავდებიან, ეს თვალნათელია! აისახება თუ არა, ეს დნმ-ში?

მსოფლიო მასშტაბით ძალიან საინტერესო სურათი იკვეთება. კავკასია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შესასწავლი რეგიონია, ცივილიზაცია ხომ ახლო აღმოსავლეთიდან, მესოპოტამიიდან წამოვიდა, მისი ტალღები აუცილებლად გადაივლიდა კავკასიასაც. საინტერესოა, ვინ იყო აქ მცხოვრები ხალხი... ათასწლეულების წიაღშიც უნდა ჩავიდეთ და ვნახოთ, როგორ ვითარდებოდა კაცობრიობა... უკვე გვაქვს რამდენიმე ძალიან საინტერესო პასუხიც...

- მაგალითად, რომელი?

- ვიცით, რომ ამერიკელი ინდიელები ციმბირიდან წარმოიშვნენ! მათი დნმ ერთი და იგივეა, სამხრეთამერიკელი ინდიელების განსაკუთრებით! ციმბირში მცხოვრებთა გენოფონდის სიძველე 40 000 წელია, ამერიკელ ინდიელთა - 25 000 წელი.

> „ქართველების გენოფონდი უნდა შევისწავლოთ, თორემ რა შედეგებს დაგვიდებენ, არც კი ვიცით...“

ვიკვლევთ როგორ დასახლდა ინდოეთი, არაბეთი... ებრაელები ძალიან დაინტერესებული არიან, რომ შევისწავლოთ მათი გენოფონდი...

- რუსები თუ შეისწავლეთ? საიდან მოვიდნენ ისინი?

- ერთი ტალღა ევროპიდან მოვიდა... მეორე - სამხრეთიდან, მესამე კი ალტაის მხრიდან...

გიორგი კვესიტაძე, **საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:** - რა აზრსაც ბატონი კლიოსოვი ავითარებს, ეს ვარაუდებია. მომხრეებიც ჰყავს, მოწინააღმდეგეებიც. კავკასიელი ხალხების წარმოშობა ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ვაპირებთ სრულფასოვნად შევისწავლოთ ყველაფერი. აღნიშნული პრობლემა კავშირშია ეთნოგენეზისთან, ისტორიასთან, კულტურასთან... ამას ზოგადეროვნული და სახელმწიფოებრივი დატვირთვაც აქვს. ამ კვლევებში მთავარია მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. ქოთანს ყურს საიდანაც გინდა იქიდან მიაბამ. ასე ვრცელდება ცრუმეცნიერული დასკვნები და მასზე დამყარებული დეზინფორმაცია. ჩვენ უნდა დავდოთ ჩვენი კვლევა, ჩვენი ინტერპრეტაცია...

> „რუს და უცხოელ მეცნიერებში შეიმჩნევა ტენდენცია საქართველოსა და მთლიანად კავკასიის გენეტიკური სიჭრელის დასადასტურებლად“

რამაზ შენგელია, **პროფესორი, საქართველოს გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი:** - ქართველების გენეტიკური შესწავლა, ერთი მხრივ, მეტად საინტერესო, გლობალური მასშტაბის სამეცნიერო ღირებულების მატარებელია და, მეორე მხრივ, მეტად ფაქიზი თემაა. დღემდე გავრცელებულია ორი თეზა: ქართველების უაღრესი გენეტიკური სიწმინდისა (რომელიც დღევანდელი გენეტიკის თვალსაწიერიდან გაუგებარი განსაზღვრებაა) და პირიქით, ე.წ. “ნარევი ერის” შესახებ, რომელიც შეიძლება ცალსახად უარვყოთ...

დნმ-ის შესწავლის საკითხს XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ყურადღება მიაქციეს თემურ ლეჟავამ, თენგიზ ბერიძემ... მათ კვლევების საშუალება არ მისცემიათ. 90-იან წლებში, როცა მსოფლიოში დნმ-ის კვლევის ბუმი იყო, მოგეხსენებათ ჩვენთან რაც ხდებოდა - დნმ-ის კვლევა კი არა, სიცოცხლის შენარჩუნება იყო უმთავრესი მიზანი.

ვანო ნასიძე წავიდა გერმანიაში და იქ მუშაობდა ამ საკითხებზე. ის იყო ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომლის ციტირებაც ხდება მთელ მსოფლიოში. შარშან, 48 წლისა გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მან შეისწავლა საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილი და ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა, თუმცა მის მიერ შესწავლილი მონაცემები არასაკმარისია, რომ თამამად ილაპარაკო მთელ ერზე. მისი შრომებით დადგინდა, რომ ჩვენში ძირითადად ორი ჰაპლოჯგუფია გავრცელებული - G2a (უფრო მეტად) და J2a.

- კიდევ რომელ ხალხებშია ეს გენი?

- დღევანდელი ჩვენი გენოფონდის დომინანტია G2a, ის ძირითადად კონცენტრირებულია სამხრეთ ევროპის, ანატოლიისა და კავკასიის ტერიტორიაზე. სპეციალისტთა აზრით, ჰაპლოჯგუფი, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ ანატოლიაში, მცირე კავკასიისა და დასავლეთ ირანის ერთიან ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. ჰაპლოჯგუფის ასაკი დაახლოებით 30 000 წელია, მისგან წამოსული G2a ჰაპლოჯგუფისა კი - საშუალოდ 15 000 წელი.

განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი, რომ არ არსებობს ქართული, ფრანგული, არაბული ან სხვა ერების გენი! მარკერების მიხედვით, რომელსაც დნმ-ის ანალიზით ვიღებთ, ეროვნება არ დასტურდება, ეს ერის გენოფონდზე, მის სტრუქტურულ შემადგენლობაზე ლაპარაკის საშუალებას გვაძლევს. ეს არის მხოლოდ მუტაციის ადგილისა და დროის დაფიქსირება.

- როგორც თქვით, ჰაპლოჯგუფის ასაკი 30 000 წელია, ასეთი კვლევის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს გარკვეული ხალხების საერთო პრეისტორიული წინაპარი?

- ცხადია, რაც უფრო მეტად გამოიკვლევენ ამ საკითხს, მით მეტად გამოჩნდება საერთო წინაპარი - დღეს მეცნიერები არ კამათობენ იმაზე, რომ ადამიანები ერთი ბიბლიური წყვილისგან წარმოიქმნენ, რომელთა დნმ დაახლოებით ყოველ 550 წელიწადში, 22 თაობაში ერთხელ განიცდიდა მუტაციას. ეს მუტაციები გროვდებოდა და იწვევდა განსხვავებული გენეტიკური ჯგუფების ჩამოყალიბებას. მუტაციური ცვლილებების მიზეზებზე დღეს ვერ საუბრობენ...

- თუკი გენოფონდის შესწავლა ეროვნებასთან კავშირში არ არის, მაშ რისი დადგენაა შესაძლებელი?

- ეროვნებას განსაზღვრავს ჩვენი კულტურა, მენტალიტეტი, ცხოვრების წესი - როგორ ვაზროვნებთ, რა ფასეულობებს ვაღიარებთ, როგორია ჩვენი თვითიდენტიფიკაციის ხარისხი და კრიტერიუმები. პოპულაციური გენეტიკა დროსა და სივრცეში აღიქვამს ხალხთა ერთობას, მათ სავარაუდო მიგრაციებს, ჰუმანურ კატასტროფებს და ა.შ. ჩვენი წინაპრების ჩამომავლები ცხოვრობენ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. მათი კვალის პოვნა არ არის რთული... ამასთან, გარკვეული მარკერების მატარებელი ხალხი შეიძლება საერთოდ ამომწყდარიყო. მაგალითად ვახტანგ გორგასლის მამაკაცური ხაზის გენეტიკას ჩვენ ვერ ვნახავთ, თუ სადმე უკანონო შვილებში არ დაიტოტა...

> რა არის ერის გენოფონდი და რა სახელმწიფოებრივი ინტერესი უკავშირდება მას

- საქართველო შესწავლილი არ არის ამ მხრივ...

- ჩვენ უნდა მოვძებნოთ სახსრები, გამოვხატოთ ნება ყველა დონეზე, რომ ქართველების გენოფონდი შევისწავლოთ. თორემ რა შედეგებს დაგვიდებენ, არც კი ვიცით...

რუსებსა და საერთოდ უცხოელ მეცნიერებში შეიმჩნევა ტენდენცია საქართველოსა და მთლიანად კავკასიის გენეტიკური არაჰომოგენობის (სიჭრელის) დასადასტურებლად. ფაქტია, რაც უფრო ხანდაზმულია ერი, მით უფრო მეტია გენეტიკური პოლიმორფიზმი (სხვადასხვაობა), მაგრამ იმავე ლოგიკით, მათ ერთი, შეიძლება სხვაზე ბევრად ბებერი, მაგრამ საერთო წინაპარი აერთიანებთ... დღეს ყველა კავკასიის შესასწავლად იღვწის - რუსი, ევროპელი, ამერიკელი... რატომ?

ცხინვალში შექმნეს ცენტრი და შეუდგნენ ათასკაციანი კონტინგენტის კვლევას. რატომ მაინცდამაინც ცხინვალში? იმიტომ ხომ არა, რომ მერე ეს შედეგები რუსეთმა თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს?

ოვსები იყვნენ თურქული მოდგმის, ირანულად მეტყველი ხალხი. ის, ვინც მათ დახვდათ - ალანები სულ სხვა ხალხი იყო, სავარაუდოდ კოლხურ-იბერიული მოდგმის ტომი, მათში მოხდა ასიმილაცია...

ქართველი ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ნაქართველარი ან შერეული მოდგმისაა. ამას ანთროპოლოგიური მონაცემები ადასტურებს. ახლა აღმოჩნდა, რომ მათ შორისაც ჩვენთვის ნაცნობი G2a ჰალოჯგუფი სჭარბობს, არადა უკვე შეინიშნება ტენდენცია რუსი მეცნიერებისაგან სრულიად ალოგიკური დასკვნების გაკეთებისა...

სომხეთს უკვე 3 000 კაცი ჰყავს შესწავლილი. ამდენივე რომ შევისწავლოთ, მეტი არც გვინდა, უკვე სრულყოფილ შედეგს დავდებთ.

დროა, ჩვენც გამოვძებნოთ საშუალება და დავაფინანსოთ ეს ძალიან მნიშვნელოვანი კვლევები!

ლელა ჯიყაშვილი



აღვადგინოთ ჰარმონია ადამიანსა და ბუნებას შორის

(პირველი გვერდიდან)

ქალაქში დასუფთავდა ელიის მთის ძირი, კულტურის სახლის უკან მდებარე სტადიონი, პოლიციისა და გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დასასვენებელი პარკები.

სოფელ სამრეკლოში სასაფლაო და მისი მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა, ხოლო სოფელ ხორნაბუჯში შინმოუსვლელთა მემორიალი. ამ სოფლებში დასუფთავების აქციაში მონაწილეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გამგეობის თანამშრომლები იღებდნენ.

22 მარტი წყლის დაცვის დღეა. ეს არის დღე, როდესაც მსოფლიო საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი პროდუქტია სასმელი წყალი კაცობრიობისთვის და რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რესურსების მოფრთხილებასა და რაციონალურად გამოყენებას.

საერთაშორისო ექსპერტები თვლიან, რომ არც დღეს არსებული რეალობაა ნაკლებად შემაშფოთებელი, რადგან სასმელი წყლის დეფიციტი თანდათანობით გლობალური პრობლემა ხდება. მეცნიერები კი მომავლის სხვადასხვა სცენარს წინასწარმეტყველებენ, თუმცა, ერთ რამეში თანხმდებიან - ადამიანის უგუნური ქმედებებიდან გამომდინარე ცისფერ პლანეტას ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება.

ჩვენი ქვეყანაც, ალბათ, იმ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, სადაც სასმელი წყლის დაზოგვისა და მოფრთხილების პრობლემაზე განსაკუთრებულად არასდროს უფიქრიათ. მრავალი ჩვენი თანამემამულე სრულებით დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში წყლის რესურსები ამოუწურავია და იოლად მოსაპოვებელი. ეს იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში სასმელი წყლის დაზოგვა და მასთან დაკავშირებული ქმედითი ღონისძიებები უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

ინგა ჭიოლაშვილი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

სურათები, რომელსაც თქვენ ახლა უყურებთ, გაზეთ „შირაქის“ არქივიდანაა ამოღებული და ის რედაქციის ყოფილი ფოტოკორესპონდენტის ნოდარ ქურციკიშვილის (ღმერთმა გაანათლოს მისი სული) მიერ არის გადაღებული 24 წლის წინ. ფოტოზე აკვანში მწოლიარე სამიოდე თვის ჩვილი ნინო პოპიაშვილია. მას მეურვეობს და სიყვარულით დაჰფოფინებს უმცროს დაიკოზე სულ რაღაც ათიოდე წლით უფროსი ქეთევან პოპიაშვილი. მათ შუა კიდევ სამი მოზარდია:



ნათია, თამარი და პაპის მოსახელე სოლომონი. ისინი ერთ მშვიდობიან, ჰარმონიულ, სიყვარულით და სითბოთი სავსე ოჯახში იზრდებიან. სპირიდონ პოპიაშვილმა და მანანა (დოდო) ბიღიაშვილმა ნამდვილად ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული ოჯახი შექმნეს. შვილთა სიმრავლეც მამა-პაპისაგან მოსდევთ. თავდაუზოგავად შრომის და ჯაფის ნაყოფია დიდი, ორსართულიანი ლამაზი ბინა და ეზო-კარმიდამო, რომელიც ხან სიხარულით და წარმატებით, ხან პრობლემებით და საწუხარით არის სავსე. ცხოვრების აზრიც ხომ ეს არის?!

მეორე სურათზე კიბეზე ჩამომჯდარი დაღონებული სოლომონი დების ფეხსაცემელებს დასცქერის და „წუხს“: - რა დაათხოვებსო ოთხ-ოთხ დას, ამათი მზითვის გამზადება იოლი როდის იქნებაო, კარგი სიძეები მაინც შემხვდებოდნენო... ეგრე აგიხდეთ ყველა ნატვრა-სურვილი და გაგიქარწყლდეთ შიში, როგორც პატარა სოლომონს აუხდა. დღეს ამ ოჯახს ოთხი საუკეთესო სიძეც ჰყავს და გოგონებმაც ძალიან კარგად გამოიბეს თავი. მშობლების დამჯერი, მშვიდი, მშრომელი და ღირსეული ქალბატონები დადგნენ:

უფროსი - ქეთევანი 34-35 წლისაა. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სამედიცინო უნივერსტიტეტი დაამთავრა. ბედი გოგიტა მიქაუტაძეს დაუკავშირა. ჰყავს ორი ვაჟი: პაპის მოსახელე რომანი და ლუკა. ცხოვრობს დიდ ლილოში. ერთ-ერთი დიდი საბავშვო ბაღის პედიატრია და თავის შვილებთან ერთად ჩვენი მომავლის ჯანმრთელობას სდარაჯობს.



ნათია 33 წლის გახლავთ. მანაც უმაღლესი განათლება მიიღო და თანამედროვე ტექნოლოგიების სპეციალისტია, ბუდე სულ ახლოს სოფელ სამრეკლოში მოიწყო, წყარუაშვილებს ჩაურძლევდა და ზურაბს ორი შვილიც აჩუქა – ბებიის მოსახელედ ნანუკა იზრდება, ფუძის და გვარის გამგრძელებლად კი-ნიკოლოზი. პროფსასწავლებელში მუშაობს და ზრუნვას არ აკლებს თავის პატარა ოჯახს.

მომდევნო თამარ პოპიაშვილია. ის უკვე 30 წლისაა. მოასწრო ტექნიკური უნივერსტიტეტის ფერადი ლითონების ექპერტი გამხდარიყო, მოეპოვებინა სერთიფიკატები ინგლისურ ენასა და საბუღალტრო-საარღრიცხვო საქმიანობაში, ოჯახი შეექმნა ერთ ძალიან კარგ ახალგაზრდასთან-გოგიტა ხიზანიშვილთან და ორი ვაჟის-საბას და ლუკას დედა გამხდარიყო.

ის პატარა ნინო კი სულ ახლახანს 2 თებერვალს 24 წლის გახდა. ისიც სამედიცინო უნივერსტიტეტს ამთავრებს, მომავალი ფარმაკოლოგია, ვალერი მანგოშვილთან ერთად რამდენიმე თვის წინ პაპის მოსახელე პატარა გეგას (გელა) დაბადება იზეიმა.

ასე, რომ სოლომონმა დები ძალიან კარგად დააბინავა, შვიდი დისშვილის საყვარელი ბიძაც გახლავთ, მაგრამ... მისთვისაც დროა, ოჯახი შექმნას, უკვე დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი და რუსთავის საფლუსე კირქვების მაღაროთა სამმართველოში ენერგეტიკად მუშაობს. ფუძის გახარებას და გამრავლებას სულმოუთქმელად ელიან ნაჯაფარი მშობლები, ერთი თბილი და საქმიანი რძალი მათთვის ალალია. იმედია, ასეც იქნება.

სიხარულს, სიყვარულს და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ პოპიაშვილების დიდ ჯალაფს და რადგან ვიცი, რომ ეს „ისტორიული“ სურათები მათ საოჯახო ალბომებს არ ამშვენებს, საშუალებას ვაძლევ, გაზეთის ეს ნომრები მაინც შეინახონ სახსოვრად, რადგან ეს მათი დაუვიწყარი და განუმეორებელი ბავშვობაა.

ნაირა გორაშვილი

საქმითმეტყველი

გაზეთ „შირაქის“ მკითველს მინდა გავაცნო და წარვუდგინო ერთი ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს, არაჩვეულებრივი ქიზიყელი კაცი, რომელსაც არა აქვს არანაირი ტიტული, არ ჰქონია დიდი პოსტი და თანამდებობა, მაგრამ მოპოვებული აქვს კარგი, უღალატო კაცის სახელი, რაც თავისი ალალი გულით, პატიოსნებითა და ვაჟკაცობით დაიმსახურა.

ჯერ ორი ათეული წელიც არ გასულა, რაც ეს კაცი გავიცანი, მაგრამ უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შინ, თუ გარეთ, შრომაში, თუ ლხინში მისაბაძია. დიდთან დიდია, პატარასთან პატარაა, საქმითმეტყველია, და რასაც იტყვის, მის ნათქვამს ფასი და წონა აქვს ყველგან და ყოველთვის.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჯერ ორი ათეული წელიც არ არის, რაც ზაურ გონაშვილი გავიცანი და დღითი დღე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე მუდამ თავისი მოქმედებით, შრომით, ლექსებით, კაცურ-კაცობით ჩემში ამკვიდრებდა ჭეშმარიტი ქართველის სახეს.

ზაურის კაი-კაცობაზე და ადამიანობაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ აქ რამდენიმე მნიშვნელოვან თვისებასა და მომენტებს აღვნიშნავ და დარწმუნებული ვარ, მკითხველიც უთუოდ დამეთანხმება, რომ მის შეფასებაში, არ ვაჭარბებ, იქნებ მის ზოგიერთ მამულიშვილურ საქმეებს ვერ ვცნობ, ან ვერ ვაშუქებ, მაგრამ უბრალოდ რაც მე, ერთმა მისმა მეგობარმა და თანამოქალაქემ დავინახე, ის უნდა გადმოვცე.

დღეს დედოფლისწყაროს ლიტერატურული ცხოვრება რომ გამოცოცხლდა, ამაში ზაურის ღირსეული წვლილი და როლი მიუძღვის. ის არის რაიონის მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი. ასოციაციის მიერ გამოცემული წიგნების ხელშეწყობით, ლიტერატურული ღონისძიებების, შეხვედრების, იუბილეების აქტიური მონაწილე.

აქვე ვიტყვი, რომ ზაურის ამ მხრივ ამაგი და შრომა ამაოდ არ წასვლია. ბატონმა ზაზა გამგებელმა ჩვენი რაიონიდან ერთ-ერთი პირველი წიგნი უსასყიდლოდ სწორედ ზაურ გონაშვილის, მისი მეუღლისა და ქალიშვილის წიგნი დაბეჭდა.

რაკი ზაურის წიგნი და ლექსები ვახსენე, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მისი ბევრი ლექსი გახალხურებულია, იგი სიმღერადაა ქცეული. მისი ლექსები შეტანილია კახეთის პოეტთა კრებულში „ირმების გადასახედი“. აგრეთვე, ორი ათას ცხრა წელს გამოცემულ კრებულში „დედა ქართულ პოეზიაში“. ზაური კარგ, მშვენიერ, ლექსებს რომ სწერს ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ლექსი და პოეზია ქართველს რომ სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი ეს ყველამ იცის, მაგრამ ზაურის ლექსებისადმი სიყვარული, როგორც თვითონ ამბობს, ობოლა ჯალიაბაურმა შთაუნეგრა და აიძულა თურმე. ეს კი, მათი ერთად მუშაობის დროს ხდებოდა, როცა ხარაჩოზე, ან დაზგასთან მუშაობისას ობოლა ლექსის თქმა- კითხვას აძალებდა და აიძულებდა. იმდენი მეჩიჩინა, რომ შემაყვარა ლექსების კითხვა, ბოლოს წერასაც მივყავ ხელიო, -ხშირად უთქვამს ზაურს.

ზაურის კაი-ქართველობაზე ისიც მეტყველებს, რომ სხვისი სიხარული უხარია და მოძმის ტკივილი აწუხებს, ქაფჩა-შალაშინი მისი ცხოვრების თანამგზავრია და აგერ ექვს ათეული წელია, რაც აშენებს და ამშვენებს ნაცნობებისა თუ უცნობების სახლ-კარს, რამდენჯერ უთქვამს სიამაყით, რომ ჯაფარიძე (სამრეკლო) ჩემი სვეტიცხოველიაო.

რაკი მის პროფესიას შევეხეთ, მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ზაურის მადლიანმა მარჯვენამ ააშენა დედოფლისწყაროში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია და წმინდა ელიის ტაძარი, ღვიძლ სოფელში წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის რესტავრაციაც ხომ უიმისოდ არ ჩატარებულა.

ზაური სანიმუშოა, როგორც ოჯახის უფროსი, მეუღლე, პაპა, მეზობელი თუ მეგობარი. ამაში დამეთანხმება ყველა, ვინც კი ერთხელ მაინც სწვევია მის ოჯახს.

შევაღებ თუ არა მათი ეზოს ქუჩის კარს, გაზაფხულ-ზაფხულში თვალში გეცემა სუფთად გემოვნებით გაკეთებული მოწყობილი საცალფეხო ბილიკი,



რომლის ორივე მხარეს ვარდის, ია-ტიტების სურნელი ჟრუანტელად დაგივლის მისალმება—მოკითხვის შემდეგ ზაურის მეუღლე ქალბატონი გიული უმალ ხაბიძგინებს და მხლოვანებს დააწყობს მაგიდაზე. ზაური კი ენამთის მზეჩამდგარ ღვინოს შემოდგამს დაცვარული ტოლჩებით და სტუმარს მეტი რაღა უნდა.

ზემოთ ვახსენე, რომ ზაურის მეუღლე და ქლიშვილი ლელა ნაღდი პოეტები არიან, თუ ზაურის ცოლისძმას ბორისასაც მივამატებთ, ოთხი პოეტი გამოდის ოჯახში, ბარაქალა მათ!

ღმერთი, რჯული ემღერებათ, ელექსებათ კიდეც, მართალია გვიან, მაგრამ ამ ჭეშმარიტად მადლიან ქართულ ოჯახს უკვე სამი წლის ვაჟიშვილი, დიდი პაპის მოსახელე ილია ჰყავთ. სახით და გონით ნაღდი გონაშვილია.

ორიოდე სიტყვა როგორ არა ვთქვა ზაურის ვაჟიშვილზე ვაჟაზე და მ ის მეუღლე თამარზე, რომლებიც კარგი დედმამიშვილები არიან და გვარის ოჯახურ ადათ-ტრადიციას ღირსეულად აგრძელებენ.

ადამიანი საქმით იცნობაო. ჭეშმარიტად ასეა! ზაურისა და მისი ოჯახის მიმართაც ზედგამოჭრილია.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

„შირაქის“ ფოსტა

აქვე გთავაზობთ ზაურ გონაშვილის ლექსებს.

ვინა ვარ

კახეთის ზვრებში გაზრდილი
ერთი კახელი ბიჭი ვარ.
შირაქის მადლიან მიწის
ყოველ გოჯს დანაბიჯი ვარ.
ივრის ტალღები მრავალჯერ
გადამიცურავს მხარულით,
ალაზნის დუდუნს ვუსმენდი
ტრფობითა და სიყვარულით.
ხორნაბუჯს ვხეტიალობდი,
თამარის საფლავს ვეძებდი,
ლამაზ გოგონას ვეტრფოდი,
მის უნახავად ვერ ვძლებდი.
მიყვარდა მიხდვრის ყვავილი,
ვეფერებოდი შვილივით,
ციხის კედლებზე ვიდექი
გაუტეხავი გმირივით.
გომბორის ლამაზ სერებზე
ამირბენ-ჩამირბენია,
სამშობლოს სადიდებელი
მრავალი დამიწერია.
ნაბდის კუნჭულში გაზრდილი
ერთი კახელი ბიჭი ვარ,
ორმოცდაათი წელია,
რაც ხელში ქაფჩა მიჭირავს.
გახედე, ძმაო, სოფელსა,
ქოხი ვერ ნახო ჩალური,
ქვითკირის კედლებს ვაშენებ
ტრფობითა და სიყვარულით.

* * *

მე აგურს უფრო კარგად ვალაგებ,
ვიდრე რითმას და ლექსის სტრიქონებს,
ხანდახან მოდის ჩემთანაც მუზა
და ალალივით ჩამომიქროლებს.
ერთ წუთით ყველა დამავიწყდება,
ქაფჩა, ჩაქუჩი და აგურები,
და იწერება ავად თუ კარგად,
განაგონები და ნახულები.
მე მაინ სულით ვარ მშვენიერი,
როგორც ყვავილი ნამნაკურები,
თითქოს მე ჩემს ხალხს რაღაცით ვშველი,
თითქოს რაღაცით ვემსახურები.

ზაურ გონაშვილი

მოსწავლეთა სასახლეში რა, სად, როდის“ გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სკოლის მოსწავლეებს შორის ინტელექტუალური თამაში „რა, სად,როდის“ გაიმართა. თამაშის დასრულების შემდეგ კი გამგებელმა გამარჯვებულები სერთიფიკატებით დააჯილდოვა. გამარჯვებული გუნდი ქ.დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის №1 საშუალო სკოლის გუნდი გახდა, მეორე ადგილი წილად ხვდა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდს „ექსტრემალები“, მესამე ადგილს კი კერძო სკოლა ბენაურის გუნდი დასჯერდა. ჟიურის სიმპათია გახდა ნინო მეხრიშვილი, რომელიც „ექსტრემალების“ წევრი გახლდათ.

ინტელექტუალებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამხნევებდა, გამარჯვებულებს სიგელები სწორედ მან გადასცა. ინტელექტუალთა შჯიბრს ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, სპეციალისტი ნანული ნატროშვილი, ასევე, სააღმზრდელო ცენტრის წარმომადგენლები.

კონკურსის მიმდინარეობისას, მანამდე, ვიდრე ჟიური შედეგებს აჯამებდა, დამსწრე საზოგადოებას მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი წრის წევრები მხატვრულად უკითხავდნენ ცნობილი პოეტების ლექსებს.

შეჯიბრი სანდაში

9 მარტს ქ.თბილისში, “შრომითი რეზერვების სპორტულ კომპლექსში” გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ევრაზიის თასზე “სანდაში”,(ჩინური კიკბოქსი), სადაც მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს “საბრძოლო ხელოვნების ფედერაციამ” და სოფ. ზ/მაჩხაანის კლუბმა 15 კაციანი შემადგენლობით.

ტურნირი იყო გრანდიოზული. მასში 240 სპორტსმენი ასპარეზობდა. დედოფლისწყაროს “საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია” წარმოდგენილი იყო გუნდის ახალი - 5 კაციანი შემადგენლობით. მათ ამ შეჯიბრში შემდეგი შედეგები აჩვენეს :

1) სამხარაძე სანდროს 18წლის,65კგ.წ.კატეგორიაში -|| ადგილი

2) ზაბროდინი პეტრე-11წლის,34 კგ. წ. კატეგორიაში-||| ადგილი

3)გოგიშვილი ზურაბ-13 წლის,50 კგ.წ. კატეგორიაში-||| ადგილი

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე გიორგი პოპიაშვილი და ვასილ ჩივაძე. ახლადჩამოყალიბებულმა გუნდმა გამოუცდელობის გამო ვერ აჩვენა სასურველი შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ ძალისხმევა არ დაუშურებიათ. როგორც გუნდის ხელმძღვანელმა და ამ შეჯიბრებაში დედოფლისწყაროელი სპორტსმენების მონაწილეობის ორგანიზატორმა, საქართველოს “საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის” ვიცე-პრეზიდენტმა მიხეილ სეხნიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გუნდის გამოუცდელობას დაერთო ადგილზე სიახლეები, თამაშის წესების შეცვლა, თეორიულ-პრაქტიკული გადაცდომები და ეს ყველაფერი ერთად კი ჩვენს სპორტსმენებზე ნეგატიურად აისახა. მიუხედავად არაწარმატებული ასპარეზობისა, ისინი მადლობას უხდიან დედოფლისწყაროს გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსს თამარ თამაზაშვილს, კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორს ნინო ბახუტაშვილს და ამავე სამსახურის მთ.სპეციალისტის მამუკა ალადაშვილს გაწეული მხარდაჭერისათვის.

ელზა ხარაშვილი

მონატრება

ნიკა სეფიაშვილი



28 მარტი ნიკას დაბადების დღეა, 15 მარტი-მისი გარდაცვალების თარიღი.

ნიკა, ჩვენო მარად 15 წლის ვაჟკაცო, რვა წელი გავიდა, რაც ამქვეყნიური ცხოვრება დატოვე და ზეცაში უფალთან გადაინაცვლე. ახლა 23 წლის გვეყოლებოდი, რა ბედნიერები ვიქნებოდით ერთად, შენ უკვე დაოჯახდებოდი და ცხოვრებაში შენი ადგილიც გექნებოდა.

ჩვენო ალალო და კეთილო ბიჭო, უფალმა უხვად მოგამადლა ყველა კარგი ნთვისება, რაც კი ადამიანს გააჩნია. ყველა ასაკის ადამიანთან ამხანაგობდი, ყველა გიყვარდა, ყველას გასაჭირი გულთან მიგქონდა, უშურველად გაიღებდი შენი შრომით ნაშოვნ უკანასკნელ კაპიკს სხვის დასახმარებლად. მუდამ სიყვარულსა და სიკეთეს რომ თესავდი, ახლა იმკი.გულს ახარებს შენს საფლავზე ფეხის ნაკვალევი და ჩამწვარი სანთელი. ღმერთმა გიმრავლოს და გიცოცხლოს ყველა, ვისაც ახსოვხარ.

ჩვენო სიცოცხლევ, როგორ დავიღალეთ მე და მამაშენი. შენზე ფიქრსა და ლაპარაკში გვათენდება და გვაღამდება. ოხ, რა ძნელია უშენობა, ამას ვერაფერი ავსებს.ასაკთან ერთად ავადმყოფობაც შემოგვეპარა. ტირილით რომ გულს მოვიოხებთ და თავს ცუდად ვიგრძნობთ, მერე ვნერვიულობ, ნიკას სულზე ვინ იფიქრებს, მის სახელზე ეკლესიებში ვინ აღავლენს პარაკლისს-მეთქი...

ნიკა, მამუკა ისევ ჩვენთანაა და ახლა მარტოები აღარ ვართ. შნი მოსახელე ნიკა ძალიან ჭკვიანი და გონიერი ბავშვია, მალე სკოლაში მივა. შენი გაზრდილი ზუკა უკვე სკოლას ამთავრებს, მართლაც კარგი ახალგაზრდაა, ნინო კი საფრანგეთშია სასწავლებლად წასული. ილოცე მათთვის, ყველა შენი ამხანაგისთვის, რომ მშვიდობიან და ძლიერ საქართველოში ვიცხოვროთ.

28 მარტს დაბადების დღეს მოგილოცავთ, მოვალთ შენს საფლავზე და 23 მიხაკს მოგიტანთ. სანამ უფალი ინებებს, არ მოგაკლებთ სანთელსაკმეველს,ვილოცებთ, რათა ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ლამაზ სულს.

შენი ოჯახი

ამირან ბილიაშვილი



მთელი კვირაა ვფიქრობ, რა დავწერო შენზე, მამა. მიჭირს სიტყვების შერჩევა, მიჭირს, მოვყვე შენს სიკეთეზე, ადამიანურობაზე, საოცარ იუმორზე, უსაზღვრო სიყვარულზე შვილებისა და შვილიშვილების მიმართ. ლექსებსა და ჭადრაკზე აღარაფერს ვამბობ.

ვერ ვეგუები უშენობას. ყოველ საღამოს გელოდები ისევ, მგონია, რომ მოხვალ.

გაზაფხული მოვიდა, მამა...

პირველი გაზაფხული უშენოდ. ყველაფერი შენს თავს მახსენებს: შენი დამყნობილი ხეები, დასაბარი ბოსტანი, ობლად დარჩენილი ფუტკრები...

უზომოდ მჭირდები და მაკლიხარ.

გაზაფხული მოვიდა, მამა, გუშინ შენი დაბადების დღე აღვნიშნეთ, შენს გარეშე...გილოცავ...

ყველას და ყველაფერს მოენატრე, თვით გაზაფხულსაც...

შენი ლელა

მარინე და გურამ მოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ დედა მზიას, მძახლებს: ფრიდონს და ლალის, შვილებს: იესო, ფილი , ქეთი ნატროშვილებს

ტარიელ ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

გახსენება

კობა ტატუნაშვილი



ჩვენო კობა, დედის პირველო სიყვარულო და სიხარულო, მე ხომ შენგან პირველი ვიგრძენი დედაშვილური, დედობრივი სითბო, სიყვარული, სიხარული, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემთვის და შენთვის ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგნ 17 წლის მარტში მეხივით გავარდა შენი და შენი მეგობარი ანისა და თინიკოს ტრაგედიის ამბავი, რამაც დიდი ჭრილობები მოგვაყენა ყველა მშობელს. ჯერ ხომ ვარდის კოკრებივით გაუშლელები იყავით და ამის შემდეგ უნდა გამოსულიყავით ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა არ გაცალათ სიხარული და რა თქმა უნდა, თქვენს მშობლებს სამუდამო ტკივილი მოგვაყენა. კობა, ყოველთვის გჯეროდეს, შვილო, რომ წუთითაც არ გვავიწყდები. პირველ აპრილს შეგისრულდებოდა 34 წელი, ხოლო მარტის 4 რიცხვში გარდაცვალების 17 წელი. რაც არ უნდა დრო გავიდეს შენგან მიყენებული ტკივილი არ ნელდება. წუთისოფელი -მართალი უთქვამთ ერთი ამოსუნთქვაო, ამ ამოსუნთქვას თან გაჰყვა შენი გაუხარელი სიცოცხლე. გვენატრები ყველას, მშობლებს, ძმას, შენს გამზრდელ რუსიკო ბაბოს , განსაკუთრებით შენს უცნოპ ძმისშვილებს ხატიას და სალომეს. მივდივართ შენს საფლავთან, გეფერებით, გეთაყვანებით, ვუვლით შენს სამუდამო სასუფეველს. იყავი და იქნები ცოცხალი ჩვენს გულებში , სანამ ჩვენ ვიარსებებთ.

მანანა და გელა ტატუნაშვილები

გამოსათხოვარი

ვანო ილიას ძე თარაშვილი (1923-2014)



სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა ბრძოლით და შრომით განვლილი სიცოცხლის გზა ვანო ილიას ძე თარაშვილმა. ეს ადამიანი თავისი არსებობით და დამსახურებით გვილამაზებდა აწმყოს, როგორც ისტორიის ცოცხალი მემატიანე. დღეს კი წარსულში გადასახლდა და თავისი სახელოვანი მოღვაწეობით კარგი კაცობის ნიშა დაიკავა ჩვენი რაიონის ისტორიაში.

დიდი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის სოფელში დაბადებულმა და გაზრდილმა ვაჟკაცმა თავისი ცხოვრების გზა ბრძოლებით დაიწყო. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ჯარში გაიწვიეს, საიდანაც ნამდვილ ომში მოხვდა.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და აღარც გაუხდია, ბოლომდე იბრძოდა, გამარჯვების სიხარულიც განიცადა და უკვე დავაჟკაცებულ-გამობრძმედილი დაუბრუნდა თავის კერას. დაწყებული საქმე გააგრძელა და პედაგოგის დიპლომის აღების შემდეგ, განაწილებით, სამაჩაბლოში, ზნაურის რაიონში წავიდა, სადაც სოფ.სხლიტის რვაწლიანი სკოლის დირექტორად და მატემატიკის მასწავლებლად დანიშნეს.

ერთი წლის შემდეგ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და სოფ.ზემო ქედის საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1954 წლიდან სოფ.არბოშიკის სკოლაში გადმოვიდა და აქაც მათემატიკის მასწავლებლად განაგრძო მოღვაწეობა. 1967 წლიდან კი თავის მშობლიურ მირზაანს დაუბრუნდა და სოფლის რვაწლიანი სკოლის დირექტორობასთან ერთად, მათემატიკის მასწავლებლის ფუნქციაც შეითავსა.

საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი იყო, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავისზე დაკისრებულ საქმიანობას და სხვებისგანაც იგივეს მოითხოვდა.. სწორედ ამიტომაც, მის ბიოგრაფიას ამშვენებს არამარტო საბრძოლო დამსახურებისთვის მიღებული მედლები, არამედ ხანგრძლივი, კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისთვის მიღებული “შრომის ვეტერანის” მედალი და ქვეყნის პრეზიდენტების სხვადასხვა დროს მიღებული მადლობის წერილებიც.

ოჯახიც გამორჩეული შექმნა. თავის მეუღლესთან თამარ გოგილაშვილთან ერთად აღზარდა შესანიშნავი შვილებიილია და დავით თარაშვილები, წესიერი, ჩუმი, და მშრომელი ადამიანები. ისინი სანიმუშო ძმები, მეუღლეები და მამები არიან, ოჯახის ტრადიციას აგრძელებენ და თავიანთი კარგი ადამიანობით მშობლების ამაგს უფრო მეტ ღირსებას და ლაზათს ჰმატებენ.

ვანო თარაშვილის მიერ განვლილი გზა და ნათელი კვალი დიდხანს დარჩება მისი ახლობლების და მეგობრების ხსოვნაში. მის აღზრდილებს კი დიდხანს ემახსოვრებათ სკოლის დირექტორი, სოფლის ინტელიგენციის თავკაცი,თავისი კეთილი გულით, თუმცა, შეუპოვარი და მიუკერძოებელი ხასიათით.

მეგობრები და ახლობლები

გამწვანების აქცია სამთაწყაროს სამლოცველო სახლში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს წმინდა ნინოს სახელობის სამლოცველო სახლის ეზოში გამწვანების აქვია მოეწყო. ადგილობრივებმა, მამა ნიკოლოზ ლომსაძესთან ერთად ეზოში გემლიქის ჯიშის ზეთისხილის ნერგები გააშენეს.

ნერგები ეკლესიას თემურ ტარტარაშვილმა და კახა სარდალაშვილმა პირადი ინიციატივით გადასცეს და დარგვის პროცესში მონაწილეობა თავადაც მიიღეს.კახა სარდალაშვილს მსგავს აქციებში ადრეც მიუღია მონაწილეობა და წარსულშიც არაერთხელ შეუწირავს ხატი ეკლესიისთვის.

„მე წარმოშობით საინგილოდან ვარ, სოფელ სამთაწყაროში მამიდაშვილები და სხვა ნათესავები ცხოვრობენ. ბავშვობისას მთელ არდადაგებს სამთაწყაროში ვატარებდი ხოლმე. დაახლოებით ერთი თვის წინ ამ სამლოცველო სახლში წირვას დავესწარი, გარეთ რომ გამოვედი და მოტიტვლებული ეზო ვნახე, ვიფიქრე აქ მხოლოდ ზეთისხილი გაიხარებდა და ამჟამად ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანე," — აცხადებს იდეის ავტორი თემურ ტარტარაშვილი.

სოფელ სამთაწყაროში ტაძრის მშენებლობა იგეგმება, უწმინდესის მიერ უკვე შერჩეულია სპეციალური ადგილი, ამჟამად შემონირულობების შეგროვება მიმდინარეობს.

აქცია - „გავუფრთხილდეთ წყალს!“

დედოფლისწყაროელმა მოზარდებმა წყლის დღე აღნიშნეს. კერძო სკოლა „ბენაურის“ ეკოკლუბი „თეთრი აკაციას“ მოხალისეებმა სპეციალური აქცია გამართეს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წყლის მოფრთხილებისკენ მოუწოდეს.

„გავუფრთხილდეთ წყალს“; „ჩვენი ორგანიზმის 80% წყალია“; „წყალი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც გაყინვისას ფართოვდება, გათბობისას კი ვიწროვდება“ — ამგვარი სლოგანები ახალგაზრდებმა ქალაქ დედოფლისწყაროში, ხალხმრავალ ადგილებში გამოაკრეს.

„ძალიან გვინდოდა რამე გაგვეკეთებინა ამ დღესთან დაკავშირებით და შევეცადეთ ასეთი გზით შეგვეხსენებინა ჩვენი მოსახლეობისთვის წყლის მნიშვნელობა. ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში გავაკარით პლაკატები. სამწუხაროდ ზოგიერთმა კეთილისმსურველმა ადამიანმა რამდენიმე საათიც კი არ გააჩერა ჩვენი პლაკატები და მიუხედავად ხელმეორე გაკვრისა რამდენიმე საათში ისევ ჩამოხეული დაგვხვდა. გული მწყდება, რომ ასეთი რეაქცია აქვთ, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენს შედეგს მაინც მივაღწევთ და მცირე წვლილს მაინც შევიტანთ ბუნების დაცვაში," — აცხადებენ „ბენაურში“.

სკოლაში ეკოკლუბი „თეთრი აკაცია“ რამდენიმე თვეა მოქმედებს.

დასუფთავების აქცია „არწივის ხეობაში“

გარემოს დაცვის კუთხით სხვადასხვა სახის აქტივობები დედოფლისწყაროში კვლავაც გრძელდება.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ორგანიზებით „არწივის ხეობის“ ბუნების ძეგლზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია მოეწყო. მასში ნაკრძალის ადმინისტრაციის თანამშრომლების გარდა ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობდა.

პოლიეთილენის ბოთლების, ცელოფნებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავდა მიდამოები. მოწესრიგდა ასევე, ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ასევე ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შევიდა.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

კახა და მაკა დოლენჯაშვილებს!

გილოცავთ ქალიშვილის, პატარა მარიამის დაბადებას!.. ღმერთმა ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა არ მოაკლოს, ბედნიერი და სახელოვანი გოგონა გაზრდილიყოს მშობლების და ახლობლების სასახელოდ.

სიყვარულით, ბებია მანანა **და პაპა** გოდერძი.

ია მუჯირიშვილს! ზურა ნასრაშვილს!

გილოცავთ შვილის პატარა ნანიკოს დაბადებას, რომელმაც უდიდესი სითბო, სინათლე და სიხარული შემოიტანა ჩვენს ოჯახში.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

პატარა ნანიკო კი გაზრდილიყოს სასახელო ქალბატონი. იხარეთ და იმრავლეთ.

ნანი ბალაშვილი, **სოფელი ზემო მაჩხაანი.**

თორნიკე წიკლაურს!

ჩვენო სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას და ერთიან, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას გისურვებთ.ღმერთი გფარავდეს და მუდამ წარმატების მომტანი ზურგის ქარი დაგბედებოდეს.

ივერი და ნინო წიკლაურები

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური საქართველოს მასშტაბით მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მიმართავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს შეახსენებს,რომ მათთვის საჭირო საკითხებზე ინფორმაციის მიღების უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურმა სოფ.ზემო ქედსა და ქ.დედოფლისწყაროში საინფორმაციო შეხვედრების შემდეგ, ყველა სოფლის რწმუნებულს გადასცა კანონი და სანიმუშო წესდება კოოპერატივების შექმნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სიახლეებს გაეცნობით ჩვენი ვებ-გვერდის შემდეგ მისამართზე: www.facebook.com/fermerebi
სოფლის მეურნეობის საკითხებზე დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ მისამართზე: ქ.დ/წყარო, კოსტავას 42 (გამგეობის შენობა, მე-2 სართული)

599402110; 599917573; 598180434
599337890; 595858378

„დედოფლისწყაროს საათი“

კვირა 17:30

ყოველ კვირას 17:30 წუთზე დედოფლისწყაროს ახალი ამბები, ვიდეორეპორტაჟები და ადგილობრივი სტუმრები „ობიექტივის“ ეთერში
თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი“.
განმეორებითი ჩვენება 00:30 წუთზე

მოძებნე თანამგზავრზე: Astra 1G: აღმ. გრძედის 31.5, სიხშირე 11817 MHz, პოლარიზაცია V, სიჩქარე 27500, FEC 5/6, ფორმატი MPEG4 და MAGTIsat-ის თეფშებზე

ს ი ა ხ ლ ე !

26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.
მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:
579 33 07 41; 555 00 79 16; 557 23 88 99; 790 40 82 15 იკითხეთ თამაზი.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 31.03		სამშაბათი 01.04		ოთხშაბათი 02.04		ხუთშაბათი 03.04		პარასკევი 04.04		შაბათი 05.04		კვირა 06.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
1 °	0 °	6 °	5 °	10 °	5 °	5 °	5 °	0 °	0 °	2 °	1 °	8 °	7 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მესხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირომანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K